ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲝᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 100 (8711) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 28 1960 წ.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲐᲛᲐᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲚᲐᲕᲘ Ი. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ. ᲛᲐᲜ ᲛᲗᲔᲚ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲘᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲑᲘᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲬᲕᲔᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡ, ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ ᲜᲐᲛᲐᲢᲚ.

ᲤᲝᲢᲝ Ა. ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡᲐ (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲮᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲛᲠᲔᲕᲬᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ, ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ!

უკანასკნელ დროს საპროექტო ინსტიტუტის „თბოელექტროპროექტის“, კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის, გორკის საავტომობილო ქარხნისა და ელექტროსტალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მშრომელთა კოლექტივებმა გაზეთების „პრავდის“, „იზვესტიის“ და „სოვეტსკაია როსიის“ ფურცლებზე იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი შავი ლითონების ეკონომიის შესახებ და მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ყველა მუშაკს მოუწოდეს მიბაძონ. მათს მაგალითს.

საპროექტო ინსტიტუტის „თბოელექტროპროექტის“ მუშაკებმა იკისრეს პროექტებსა და მშენებლობაში დანერგონ ყველაზე სრულყოფილი კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური გადაწყვეტანი, რაც შესაძლებელს გახდის უზრუნველყოფილ იქნას შავი ლითონების მაქსიმალური ეკონომია. თბოელექტროსადგურების მშენებლობაში რკინაბეტონის კონსტრუქციების, ახაწყობი რკინაბეტონის, ძირითადი და დამხმარე მოწყობილობის და ნახევრადღია დანადგარის ფართოდ დანერგვით გადაწყვეტეს შეამცირონ შავი ლითონების ხარჯი ინსტიტუტის მიერ დაპროექტებული ენერგეტიკული მშენებლობის ობიექტებზე 1960-1965 წლებში დაახლოებით 500 ათასი ტონით.

კუზნეცკელმა მეტალურგებმა იკისრეს უზრუნველყონ ლითონის მომჭირნეობით ხარჯვა ყველა მეტალურგიულ გადამუშავებაში, ლითონის კაზმის ხარჯი ერთი ტონა მარტენის ფოლადის წარმოებაზე დაიყვანონ 1.072 კილოგრამამდე და შეამცირონ ზოდების ხარჯი ერთ ტონა მზა ნაგლინზე. ყოველივე ეს შესაძლებლობას მისცემს კომბინატის კოლექტივს წელს გეგმის გადაჭარბებით აწარმოოს 10 ათასი ტონა მზა ნაგლინი. სახალხო მეურნეობაში ნაგლინის ეკონომიური პროფილების უფრო ფართოდ დანერგვის მიზნით კუზნეცკელებმა იკისრეს გაფართოონ მათი წარმოება 355 ათას ტონამდე, ამის მეოხებით ჩვენი ქვეყანა იმავე რაოდენობის ფოლადისაგან დამატებით მიიღებს 2,5 მილიონ მეტრ კოჭებსა და შველერებს.

გორკის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა მიაღწიოს შავი ლითონების ნაგლინის ხარჯის მნიშვნელოვან შემცირებას ერთ ავტომობილზე მანქანების კვანძებისა და დეტალების კონსტრუქციული ცვლილების, მათი წარმოების ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, ლითონის რაციონალური გამოკვრისა და ნარჩენის გამოყენების გზით და დაზოგილი ლითონით 1960 წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 1.500 ავტომობილი.

ელექტროსტალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მშრომელებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს მიაღწიონ დასამზადებელი მეტალურგიული მოწყობილობის წონის მნიშვნელოვან შემცირებას და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას დასამზადებელ საამქროებში და ამით დაზოგონ 1960-1965 წლებში სულ ცოტა 50 ათასი ტონა შავი ლითონები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საწარმოთა და ინსტიტუტის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების შესანიშნავ ინიციატივას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს და ყოველგვარი მოწონებისა და მხარდაჭერის ღირსია. როგორც ცნობილია, ლითონის წარმოება ჩვენში მეტად სწრაფად იზრდება, მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ლითონზე განუწყვეტლივ დიდდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად ლითონის წარმოების სწრაფი ზრდისა, იგი ჯერ კიდევ არ კმარა მანქანებზე სოფლის მეურნეობის მოელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მეტალურგებს მიმართა მოწოდებით დაეხმარონ სოფლის მეურნეობას, მაგრად მოჰკიდონ საქმეს ხელი და მოგვცენ ლითონი გეგმის გადაჭარბებით.

თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდებასთან ერთად განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი საქმეა ლითონის ეკონომიურად, მომჭირნეობით ხარჯვა.

ლითონის მომჭირნეობით, რაციონალურად გამოყენება მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოებისა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის სხვა მოწყობილობის, აგრეთვე მოსახლეობისათვის მასობრივი მოხმარების საკეთობათა შემდგომი გადიდების დიდი წყაროა. ყოველი ტონა დაზოგილი ლითონი ხელს შეუწყობს შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას, ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მშრომელთა მატერიალური მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ერთი პროცენტი ლითონი რომ დაზოგოთ, სახალხო მეურნეობა დამატებით მიიღებს 600 ათას ტონა ლითონს წელიწადში. ეს ლითონი საკმარისი იქნებოდა. მაგალითად, 100 ათასი ტრაქტორის ან „მოსკვიჩის“ მარკის 450 ათასი ავტომობილის დასამზადებლად.

კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის, გორკის საავტომობილო ქარხნის, ელექტროსტალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნისა და საპროექტო ინსტიტუტ „თბოელექტროპროექტის“ მშრომელთა კოლექტივების მოწოდების მიხედვით შავი ლითონების მომჭირნეობით ხარჯვისათვის სოციალისტური შეჯიბრების ყოველი ღონისძიებით გაშლა საშუალებას მოგვცემს წელიწადში ასეულ ათასობით ტონით გავადიდოთ ლითონის რესურსები სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲜ. მიუხედავად იმისა, რომ მანქანათსამშენებლო მრეწველობაში ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა ღონისძიებანი ნაკეთობის ეროვნულზე ლითონის ხარჯვის შესამცირებლად, ლითონის დანაკარგი სხვადასხვა ნარჩენის სახით მაინც დიდია და 5 მილიონ ტონაზე მეტს შეადგენს წელიწადში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია შვიდწლედის მანძილზე საშუალოდ მანქანათმშენებლობაში შეეამცირაოთ ნაგლინის ხვეღრითი ხარჯვა სულ ცოტა 25 პროცენტით. რიგმა სახალხო მეურნეობის საჭიროებმა: გორკის, მოსკოვის (საქალაქო), ხარკოვის, როსტოვისა და სხვა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უკანასკნელ ორ წელიწადში გადაჭარბებით შეასრულეს ნაგლინის ხარჯვის შემცირების დავალებანი. ამავე დროს ნოვოსიბირსკის, ტომსკის, სტალინგრადის, აზერბაიჯანისა და ზოგიერთმა სხვა სახალხო მეურნეობის საბჭომ გადახარჯა ნაგლინი.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ, რომელიც უშვებს „დტ-54“ ტრაქტორებს, მიაღწია ლითონის ეკონომიას. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ კი ასეთივე ტრაქტორების წარმოებისას მარტო 1958 და 1959 წლებში გადახარჯა დაახლოებით 700 ტონა ნაგლინი. ამ ლითონით ქარხანას შეეძლო დამატებით გამოეშვა 800-ზე მეტი ტრაქტორი. ლითონის მნიშვნელოვანი გადახარჯვა აქვთ აგრეთვე ციმბირის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას, ბელარუსის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას, ტომსკის ქარხანა „სიბელექტრომოტორს“, ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხანასა და სხვა ქარხნებს. ლითონის მომჭირნეობით ხარჯვის გზით ოდესის ქარხანას შეეძლო 1959 წელს დამატებით გაეკეთებინა 1.300-ზე მეტი ხატრაქტორო გუთანი „მხვნელი“, ხოლო ნოვოსიბირსკის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას — ათას ცალზე მეტი „სუ-24“ სათესი მანქანა.

მთელ რიგ მანქანათსამშენებლო ქარხნებში დღემდე დიდია წუნი. წუნის შემცირება იმ დონემდე, რომელსაც მოწინავე ქარხნებმა უკვე მიაღწიეს, საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ მანქანათმშენებლობაში სულ ცოტა 200 ათასი ტონა ნაგლინი წელიწადში.

ძალიან ბევრი ლითონი იქცევა ბურბუშელად. ლითონის ეს დანაკარგი შეიძლება მკვეთრად შევამციროთ და კიდევაც უნდა შევამციროთ. მაგრამ ამისათვის უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ ლითონის დამუშავების ისეთი თანამედროვე ხერხები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ ნაჭედი, ნატეხიები და სხმული ნამზადები, რომლებიც ყველაზე მეტად უახლოვდება მზა დეტალების ფორმებსა და ზომას. წნევით ლითონის დამუშავების მოწინავე მეთოდები ნაგლინის ხარჯვას 30-50 პროცენტით ამცირებენ. დიდ ეფექტს იძლევა შედუღებული კონსტრუქციების გამოყენება ნაცვლად სხმული კონსტრუქციებისა. ცხელი ტვიფრვის შეცვლა ზუსტი სხმით გამოდნობილი მოდელების მიხედვით თითქმის ორჯერ ამცირებს ლითონის ხარჯს.

ყოველად შეუწყნარებელია, რომ ცალკეული ქარხნები კვლავ უშვებენ მძიმე მანქანებს, მაშინ როცა სხვა საწარმოებში ანალოგიური მანქანები გაცილებით ნაკლები წონისა კეთდება. მაგალითად ლენინგრადის ექსკავატორის ქარხნის „ე-304“ მარკის 0,8 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვიანი ექსკავატორი იწონის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲚᲘᲐ

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში საბჭოთა კავშირისათვის აგებული გემების დიდი ქარავანი მოდის ამერიკად ერრჩის სრუტეში. ამ „მეგობრობის ფლოტილიის“ შემადგენლობაშია 32 საგზაოვრო და სატვირთო თბომავალი, ნავთობჩასასხმელი კარჭაპები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 1960 წლის ნავიგაციაში. მათ შორის არის ორი კომფორტაბელური გემი „დუნაი“ და „დნეპრი“, აგებული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. ოვითეული თბომავალი მუშაობს შიგაწვის ძრავებით, რომელთა (თვითეულის) სიმძლავრეა 800 ცხენძალა. „დუნაი“ და „დნეპრი“ იქნიან როსტოვ-სტალინგრადის ხაზზე.

ფლოტილიის შემადგენლობაშია რვა მშრალი ტვირთის თბომავალი (თვითეული ტვირთამწეობაა 2.000 ტონა), აგებული რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიის ცხრა ტბის საბუქსირო თბომავალი, რომელთაგან თვითეულის სიმძლავრეა 800 ცხენძალა.

პირველი მცურავი რკინაბეტონის კარკასიანი გემსარემონტო ქარხანა მოგვაწოდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ, (საკდესი).

ᲓᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ

კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელთა და მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა თბილისში, წარჩინებულმა მწველავებმა: თეთრწყაროელმა ტაისა ფედოსეევამ, საგარეჯოელმა მერი კვაჭანტირაძემ და დუმელმა მარიამ ალუდაურმა პირობა დადეს მიაღწიონ წველადობის მაღალ მაჩვენებლებს.

ეს სამი დობილი ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. მათ იკისრეს საშუალოდ ერთ ძროხაზე წელს მიიღონ: ტაისა ფედოსეევამ — 3.000 კილოგრამი რძე, მერი კვაჭანტირაძემ — 5.000 კილოგრამი, მარიამ ალუდაურმა იდგილობრივი ხევსურული ჯიშის ძროხაზე — 2.000 კილოგრამი. მათი შეჯიბრების ხელშეკრულება „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ 17 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა.

ამ შეჯიბრების დაწყებიდან მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა. მაგრამ დობილების შეჯიბრებამ ყოველ დღეს ახალ-ახალი წარმატებები მოაქვს. კარგად მოვლილი, ჟუთოვანი საკვებით უზრუნველყოფილი ძროხები დღითიდღე მეტ რძეს იძლევიან. მაგალითად, აპრილის პირველ დეკადაში იდგილობრივი ჯიშის თვითეული ძროხა დღეში იძლეოდა 3-4 კილოგრამ რძეს, უკანასკნელ დღეებში კი 5-6 კილოგრამს იძლევა, ხოლო ჯიშიანი ძროხა — 8-10 კილოგრამს.

ამის შედეგად თეთრწყაროელ მწველავს ტაისა ფედოსეევას საშუალოდ ერთ საფუტკაე ძროხაზე მიღებული აქვს 700 კილოგრამზე მეტი რძე, საგარეჯოელ მერი კვაჭანტირაძეს — 1.100 კილოგრამი, ხოლო დუშელ მარიამ ალუდაურს — 600 კილოგრამამდე რძე.

წველადობა იზრდება. დობილები იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებების სასახელოდ განაღდებისათვის.

ᲛᲐᲗ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ

ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲡ რაიონის მეჩაიეები წლითწლობით ზრდიან ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. საკმარისია ითქვას, რომ 1959 წელს რაიონში მოკრეფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 5.562.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 1.553 ტონით მეტია 1953 წელს მოკრეფილთან შედარებით.

წელს ჩხოროწყუელი მეჩაიეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ქობულეთელთა პატრიოტულ თაოსნობას და ვალდებულება იკისრეს ქვეყანას მისცენ 5.770.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო 1965 წლისათვის გათვალისწინებული 6.585.000 კილოგრამი ჩაის მოკრეფის დავალება შესასრულონ 1963 წლისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა და ცალკეულმა მეჩაიეებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. სოფელ ნაოჩიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს წელს მოკრიფონ 542 ტონა ჩაის ფოთოლი. მერგოლურმა გ. დარსალიამ იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიღოს 3.300 კილოგრამი. ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში იკისრეს მოკრიფონ 341 ტონა და საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 3.530 კილოგრამი ფოთოლი.

სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა გადწყვეტილებაა სამშობლოს მისცეს 581 ტონა ჩაის ფოთოლი. ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნათელა შენგელიამ ვალდებულება იკისრა წელს 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წელს მოკრეფენ 750 ტონა ჩაის ფოთოლს ანუ გეგმასთან შედარებით 50 ტონით მეტს. ახლა მკრეფავები ყოველდღიურად ამოწმებენ ჩაის ბუჩქების ვეგეტაციას. სულ მალე გაჩაღდება ახალი მოსავლის ჩაის ფოთლის კრეფა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔ ᲪᲘᲪᲘᲚᲐ ᲛᲑᲔᲘᲫᲔ (ᲬᲘᲜᲐ ᲞᲚᲐᲜᲖᲔ). ᲘᲒᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲐᲡ 150 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲮᲠᲣᲚᲔᲑᲡ.

ᲤᲝᲢᲝ Გ. ᲑᲐᲑᲐᲘᲜᲘᲡᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). ახლა დასავლეთ საქართველოში წვიმიანი ამინდია. მაგრამ გაზაფხულის სითბომ მაინც დააჩქარა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია.

ჩაის კრეფას პირველი შეუდგა ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა), რომელიც სახელმწიფოს წელს მისცემს 2.300 ათას კილოგრამზე მეტ ჩაის ნედლეულს. 25 აპრილს შერჩევით მოიკრიფა **150 კილოგრამი** ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. 26 აპრილს წვიმიანი ამინდი იყო. მიუხედავად ამისა, მეურნეობაში **800 კილოგრამზე** მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, 27 აპრილს კი — **500 კილოგრამამდე.** კრეფის ტემპი დღითიდღე ძლიერდება.

ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა ჩაის ფოთლის მიღებას მომზადებული შეხვდა და მალე შეიდწლედის მეორე წლის მზა პროდუქციის პირველ პარტიას გამოუშვებს.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ტელეფონით). შავი ზღვის სანაპიროზე გადაშლილ ჩაის პლანტაციებში უკვე გავიდნენ პირველი მკრეფავები. ხუთ კოლმეურნეობაში დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. სოფელ მახოს კოლმეურნეობაში ორ დღეში მოიკრიფა **1.226 კილოგრამი** ჩაის ფოთოლი, ხოლო ჭარნარის კოლმეურნეობაში **840 კილოგრამი.** სოფელ თხილნარის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ **თ. ქათამაძემ** პირველ დღეს მოკრიფა **30 კილოგრამი** ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება ორმაგად შეასრულა.

რაიონში ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის ორი დღის განმავლობაში მოკრეფილია **3.400 კილოგრამი** ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ᲕᲔᲑᲛᲔᲑᲘᲗ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐᲨᲘ

ᲬᲔᲚᲡ მაღალ აგროტექნიკურ ვადებში დავამთავრეთ ჩაის პლანტაციების სახამთრო და საგაზაფხულო სამუშაოები და მოსავალიც მეტი იქნება. ვებმებით რა ჩაის უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში, ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა წელს სახელმწიფოს მივცეთ 239.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ანუ 30.000 კილოგრამი გეგმის გადამეტებით.

კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადამ, რომელსაც ორკაცი კვიცარიძე ხელმძღვანელობს, იკისრა წელს გეგმასთან შედარებით ჰექტარზე 500 კილოგრამით გადიდოს ჩაის მოსავლიანობა და სახელმწიფოს მისცეს 62.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობა მომზადებული ხვდება ჩაის კრეფის სეზონს. ყველა ზომას მიეღებთ იმისათვის, რომ კოლმეურნეები უკლებლივ გამოვიდნენ პლანტაციებში სამუშაოდ. ავგეგთ ორი ახალი ფარდული, ხოლო მეორე და მეოთხე ბრიგადების პლანტაციებში მოვაწყეთ სასადილო.

Შ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ.

წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

◆ ᲤᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ, 27 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲡᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲛᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲜ ᲚᲘᲜᲔ ᲛᲐᲜᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲪᲘᲪᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲖᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ), ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ, ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲛᲐᲡ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ.

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲒᲠᲘᲐᲚᲨᲘ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲚᲐᲛᲘ.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ Კ

ჩვენების ფოტოთი

გაქარაკვებული

ბასცდებით თუ არა ჩორნი რინოკს, თქვენს თვალწინ გადაიშლება თვალუწვდენი ტრამალები. ბაჯიგანისა და „სუხოი კუმის“ ტრამალებში ზამთრობენ ჩვენი რესპუბლიკის დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთისა და ჯავის რაიონების ცხვრის ფარები. ბაჯიგანის საძოვრების მასივზე, რომელიც ასი ათას ჰექტარს აღემატება, ძირითადად იმყოფება დუშეთის რაიონის კოლმეურნეობათა ფერმები, მეზობლად იმყოფებიან თიანელები, ხოლო ლენინგორელები და ყაზბეგელები „სუხოი კუმის“ მიდამოებში აზამთრებენ ცხვარს.

აქ ზამთარი ყოველთვის ერთნაირი როდია. ქართველ მეცხვარეებს ახლაც კარგად ახსოვთ 1954 წლის საშინელი ზამთარი, როცა ბუნების სტიქიამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა მათ ნაშრომ-ნაამაგარს, ათასობით ცხვარი გაიყლიტა ქარიშხლისა და საკვების უქონლობისაგან. ბევრი ფერმის მწყემსები ცარიელი კომბლებითღა დაბრუნდნენ სახლში. ახსოვთ მწყემსებს და მწარედ იგონებენ მას. პარტია და მთავრობა წამოეშველნენ მაშინ გულგატეხილ მწყემსებს, დაეხმარნენ ფარების აღდგენასა და ფერმების ფეხზე დაყენებაში.

იმ საბედისწერო ზამთრის შემდეგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა საჭირო დასკვნები გააკეთეს. ყოველ ზაფხულობით, როცა ცხვარი იალაღებზე იმყოფება, ბაჯიგანისა და „სუხოი კუმის“ ტრამალებში გაჩაღებულია კოლმეურნეთა და მექანიზატორთა თავდადებული შრომა. თიბავენ ნოყიერ ბალახს, ზიდავენ და საზამთრო ბინებთან ზვინებად დგამენ თივას; არემონტებენ ცხვრის ფარეხებსა და მწყემსების ბინებს, იმარაგებენ კონცენტრირებულ საკვებს. ამ შემთხვევაში მათთვის მნიშვნელობა არა აქვს როგორი იქნება მომავალი ზამთარი — მკაცრი თუ მარაგიანი. დაგროვებული საკვები საქმეს არ წაახდენს. თუ არ დაიხარჯა, არ გაფუჭდება. ხოლო თუ სტიქია აიშალა, მაშინ იმას, ვისაც თავი დაუზღვევია მოულოდნელობისაგან, დროზე მოუმარაგებია ყველაფერი, გული საგულეში აქვს.

სწორედ ასე მოხდა გასულ ზაფხულში. შემოდგომაზე იალაღებიდან საზამთრო საძოვრებზე ავტომანქანებით დაბრუნებულ ცხვარს მომზადებული დახვდა ყველაფერი: კეთილმოწყობილი, დათბუნებული ფარეხებიც და ზამთრისათვის საჭირო საკვების მარაგიც. ამ მხრივ თვალსაჩინო მუშაობა გასწია ციკავშირმაც, რომელმაც ჩორნი რინოკში დროზე შეზიდა კონცენტრირებული საკვები.

მაგრამ ზამთარი მაინც ზამთარია...

დეკემბერმა ნორმალურად გაიარა. ფარები გაშლილი იყო საძოვარზე. ახლად მოსული თოვლის ქვეშ მოქცეულ ბალახს ადვილად აგნებდა ცხვარი, ფეხებით აცლიდა თოვლს და გემრიელად შეექცეოდა ნოყიერ ავშანს. ზღვისპირეთიდან ზოგჯერ წამოსული ციცი ქარი არც თუ ისე საგანგაშო იყო. ყველაფერი რიგზე მიდიოდა. მაგრამ აი, დადგა იანვარი, ჩორნი რინოკიდან ბაჯიგანში, მე-13 გადასარბენსა და „სუხოი კუმის“ მასივებზე განლაგებულ ვეტპუნქტებში დაიგზავნა მოსალოდნელი ცუდი ამინდის მაუწყებელი რადიოგრამები.

სურათზე: დუშეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსი კომკავშირელი ალექსანდრე ნადიბაიძე, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამუშაოდ წავიდა მეცხვარეობის ფერმაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დიდი საზრუნავი გაუჩნდათ საძოვრებზე მყოფ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ფერმათა გამგეებს და თავჩოხნებს. ხუმრობა საქმე არ იყო. პროგნოზი სასიკეთოს არ იტყობინებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ამინდის სიმკაცრე იმატებდა, შეიძლება ქარიშხალი წამოსულიყო, მოეყინა ნიადაგი, და მაშინ! პირუტყვი ვერ იბალახებდა, სადოლედ მოსული დედაცხვარი გალუბდებოდა და მთელ წელიწადს გაწეული შრომა წყალში გადაიყრებოდა.

მწყემსების მხნეობამ, მათმა გამრჯე მარჯვენამ მოსალოდნელი ხიფათი ალაგმა. ფარეხებთან მოიმარაგეს საკვები, ერთხელ კიდევ შეაკვლეს ფარეხებს თვალი, შეაკეთეს საბატკნეები, საჩეჩილები, მოსაგები ბაკები.

— ახლა არაფერია საშიში! — თქვეს მათ.

მაგრამ მეცხვარის გულდამშვიდება ვის გაუგია?..

გაგვახსენდა ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებიდან“ სვიმონა გიგაურის სიტყვები:

„... ცხორს ყველა ემტერების: ნადირი, კაცი, ამინდი— ყველა ცხორის ბტერია, ყველა იმას ეტანების... მაგითია მეცხვარე ბედშავი, ყველა ხელობის კაცს ძეუძლია მოისვენოს, გადასდოს საქმე, მაგრამ მეცხვარეს კი არა... ავდარში ცხო მუმა თავს ძესფარებს და მწყემსი კი ცხოროთან უნდა მოკვდეს... ღამეა და ცალი თვალი გახელილი უნდა ეჭიროს, ან ცხორი არ დაუფთხეს, ან ნადირმა არ გაიტაცოს და ან ქურდმა... მწყემსისათვის არც დღეა და არც ღამე!“

მწეოლის თქმისა არ იყოს, მართლაც წარმოიდგინეთ, ძვირფასო მკითხველო, მწყემსის მდგომარეობა, ცის ქვეშ, ბნელ და ცივ ღამეს; განუწყვეტელი კოკისპირული წვიმა, რომელიც ძვალსა და რბილძი ატანს; ქარიშხალი სადგისივით ჩხვლეტს ქარისაგან გადაგდებული ნაბდის ადგილს — და ცხვარს კი ძაინც ვერ მომორგებიხარ, თავი ვერ შეგიფარებია, იმიტომ რომ ცხვარს ვერ მოაცდენ საძოვარს და იქ კი გაფაციცებული, გაფრთხილებული თვალი ეჭირება.

ყოველივე ეს კარგად იციან გამოცდილმა მწყემსებმა. სწორედ ამიტომ ისინი, როგორც ფრონტზე მამაცი ჯარისკაცი, ისე იქცევიან, ხშირად მათი ვაჟკაცობა თავგანწირვამდე მიდის, ოღონდ ცხვარი შეინარჩუნონ, მას არაფერი მოაკლონ.

ყაზბეგის რაიონის სოფელ კობის კოლმეურნეობის ფერმაში გვიამბეს მწყემსების ბორის კესაევისა და პეტრე პლიევის ასეთ თავგანწირვაზე.

იმ ღამეს მშვიდად ეძინა ბინაში ბორის კესაევს. მას და პეტრე პლიევს მეორე დილას უნდა შეეცვალათ ღამის ყარაულები და ფარა საძოვარზე გაერეკათ. ამიტომ ისვენებდა კესაევიც. ნაშუალამევს ბორისის შემზარავმა გმინვამ ბინაში მყოფი მწყემსები წამოშალა. გამოღვიძებულმა მწყემსებმა საგონებელში ძლივს ჩაავდეს კესაევი.

— ცხვარს მიხედეთ, ცხვარს, მე არა მიშავს რა! — შეესძახა გაოგნებულმა კესაევმა და ზეზე წამოვარდა.

— ერიჰაა, საწყალს ერთი შიფერი დასცემებია თავიდან, — ახარხარდნენ ბიჭები.

— რას დამცინით, თქვე ოჯახქორებო, — თვალების ფშვნეტით მიაყარა ბორისმა, — თქვენ კი არ გინახავთ სიზმარი?...

— რა ნახე სიზმარში ასეთი, რომ ყველა დაგვაფეთე?— მიაგება კითხვა თავჩობანმა.

დარცხვენილმა ბორისმა ამხანაგებს უამბო სიზმარში ნახული:

—იალაღებზე ვიყავით. ჩვენი ფარა შეფენილი იყო მთის ფერდობებზე და ძოვებით მიემართებოდა ბაკებისაკენ. უცბათ ჩამობნელდა, გაისმა ჭექა-ქუხილი, წამოვიდა კოკისპირული წვიმა. ქარმა იმატა. დავაჩქარე ცხვრის გამორეკვა. ფარა ღელეს რომ ჩაეფინა, უცბად შედგა. დაეხმაურე, მაგრამ ვხედავ, რომ ადგილიდან ფეხს არ იცვლიან. ქარიშხალიც მატულობს. ძაღლებმა ღელის თავის მიმართულებით ყეფა გააბეს. როგორც ჩანდა, ნადირის სუნი იყნოსეს. დავკივლე და დავკივლე. როგორც იქნა დაიძრა ცხვარი, მაგრამ მეორე ფერდობზე რომ გადმოვევლო, უცბად დაფრთხა და დაიქსაქსა. ნადირი იყო. გამოეკიდნენ ძაღლები. მე დამფრთხალ ცხვარს დავედევნე მოსაბრუნებლად. ამ დროს მთიდან დაგორებულმა ქვამ მიწია და ღელეში გადამტყორცნა...

და აი, როგორც კი გათენდა, კესაევმა და პლიევმა გუდა-ნაბადი აიკრეს და თავიანთ სამწყემსო ცხვრები ფარეხებიდან გამოუშვეს, საძოვრად გარეკეს. ბინებს ძალიან არ დასცილებიან. ცხვარი მოყინულ ბალახს ზანტად შეექცეოდა. შუადღისას დარწყულების შემდეგ ცხვარი ისევ საძოვრად გაიშალა. გამჭვალავი ქარი უგემურად სისინებდა, თანდათან ძლიერდებოდა.

— ავაჩქაროთ ბინისაკენ, ოორემ შეიძლება ხიფათში ჩავვარდეთ, — გასძახა ბორისმა პლიევს.

— ვიჩქაროთ, ქარიშხლის ნიშანია, — დაუდასტურა პეტრემაც.

დიდ ხანს არ გაუელია, რომ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ერთხანს ცხვარი შეტორტმანდა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა და ქარიშხლის მიმართულებას გაჰყვა. გატაცებულ ცხვარს დაედევნენ მარჯვე მწყემსები. ხან წინ მოექცეოდნენ, ხან უკან. ქარიშხალი კი მძვინვარებდა, დაქსაქსულ ფარას ზღვისპირეთისაკენ მიაქანებდა. ან როგორ შეეძლო ორ მწყემსს 1.600 სული ცხვრის შეკავება! მწყემსებმა ქარიშხლიანი ღამის წყვდიადში ერთმანეთი დაკარგეს.

ღამით ბინაში ერთი ჩოჩქოლი ატყდა. კესაევისა და პლიევის საძებნად მდევარი გამოჰყვეს; ზოგნი ცხენით, ზოგნი ფეხით ტრამალების ყველა მიმართულებას მოედვნენ, მაგრამ ვერც იმ ღამეს, ვერც მეორე დღეს მათს კვალს ვერ მიაგნეს. ცამ უყო პირი თუ დედამიწამ ვერაფერი გაარკვიეს. ეს ამბავი ჩორნი რინოკსაც აცნობეს. იქიდან ყველა ბინას რადიოგრამები გადასცეს, ერთი სიტყვით, დაკარგული ცხვრისა და მწყემსების საძებნად ნოღაეთში მყოფი მწყემსები ფეხზე დადგნენ.

მხოლოდ მეხუთე დღეს საქართველოდან აქ სამუშაოდ ჩამოსული გეოლოგიური პარტიის ავტომძღოლმა გავლისას შეამჩნია უპატრონოდ მიტოვებული ქართული ჯიშის ცხვრის დიდი ჯგუფი. ჩორნი რინოკიდან მაშინვე გაეგზავნენ სამმართველოს მუშაკები. ძლივსძლივობით მიაღწიეს ცხვრების ადგილსამყოფელამდე. ცხვრის ნაწილი კი იპოვნეს, მაგრამ მწყემსები არსად ჩანდნენ. იმავე დღეს შებინდებისას შემთხვევით წაიწყდნენ უგრძნობ მდგომარეობაში მყოფ ბორის კესაევს, რომელსაც ძვალ-რბილი გასთოშოდა და ველარაფერს გრძნობდა. მალე მიაგნეს პლიევის კვალსაც. მამაცი მწყემსები საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო მათ მიერ გადარჩენილ დაქსაქსულ ცხვარს თავი მოუყარეს და ბინაში უკლებლივ დააბრუნეს.

— ძაან არ აგიცხადდა სიზმარი?! — ღიმილით ეუბნებოდნენ მეგობრები საავადმყოფოდან გამოჯანმრთელების შემდეგ ბინაში დაბრუნებულ ბორის კესაევს.

თებერვლის ბუნების სტიქია კვლავ მძვინვარებდა. დედაცხვარი დოლში ჩადგა. ახლა იყო საჭირო სიმხნეევე და ვაჟკაცობა.

მიუხედავად მკაცრი ყინვებისა, რაც ხშირად — 14 გრადუსამდე აღწევდა, მწყემსებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. თებერვალსა და მარტში მიღებული ნამატი დაღუპვას გადაარჩინეს.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ლენინგორის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ხანდაზმულ მოწინავე მწყემსს ყიდა გაროზაშვილს. მან მეორმოცედ გამოაზამთრა ცხვარი კასპიისპირეთის საძოვრებზე. გასულ ზამთარშიც თავი გამოიჩინა ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში.

ყაზბეგელ მეცხვარეთა შორის ქებით იხსენიებენ სოფელ სნოს კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადირს კომუნისტ ნ. გელაშვილს, სოფელ სიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს გელაძეს, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებს შ. გიგაურს და ნ. ქავთარაშვილს, გორისციხელ თავჩობანს ზ. ელოშვილს, სოფელ გერგეტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის 67 წლის მწყემსს ალექსი წიკლაურს და სხვებს, რომლებმაც ვაჟკაცურად გადალახეს სტიქიით გამოწვეული უმძიმესი სიძნელენი და წარმატებით ჩაატარეს დოლი.

ამ რაიონის ბევრი კოლმეურნეობის ფარეხებთან მაღალპროდუქტიული ძროხები ვნახეთ და გაგვიკვირდა:

— ალბათ მწყემსებისათვის წამოგიყვანიათ ეს ძროხები! — შევნიშნეთ ჩვენ.

— ჩვენი მწყემსები რძეს არ გეახლებიან, — გვიპასუხეს. — ეს ძროხები დიდ სიკეთეს გვიმზრებიან. ზოგიერთ დედაცხვარს ყინვისა და სიცივის გამო რძე გაუშრა. მათს ბატკნებს სწორედ ამ ძროხების რძეს ვაძლევთ საწოვარათი.

კარგი წინდახედულებაა. ამ ღონისძიების გამოყენებით ცოტა ბატკანი როდი გადაარჩინეს შიმშილით დაღუპვას ყაზბეგელებმა!

ახლა აღარ იკითხავთ დუშეთის რაიონის მეცხვარეთა შრომითს მამაცობას!

შორით ნაამბობს ვერ დავიჯერებდით, ჩვენი თვალით რომ არ გვენახა. ვაჟკაცური შემართებისა და უტეხი ნებისყოფის ადამიანები არიან დუშელი მწყემსები. ცხვარი მათი მთავარი საზრუნავია. ის არის მათი სიმდიდრისა და ბედნიერი ცხოვრების წყარო. საქვეყნო საქმისათვის დაუცხრომლად შრომობენ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ხორცი და მატყლი მისცენ.

ალეთის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი არტელია რაიონში. მისი ცხვრის ფარები თოთხმეტი ათას სულს ითვლის, მათ შორის ნახევარი დედაცხვარია.

— ნოღაეთიდან ოცი ათასზე მეტ ცხვარს დავაბრუნებთ მშობლიური მთის საზაფხულო საძოვრებზე! — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ალექსი ბურდული.

— თქვენს მწყემსებს ნაკისრი აქვთ წელს ასი ჰექტარით შეინარჩუნონ მიღებული ნამატი. როგორ არის პირობის შესრულების საქმე?

— ჩვენი პირობა უტეხია, რაც გვითქვამს, შეგვისრულებია კიდეც. არც ახლა შევირცხვენთ თავს! — წამოეშველნენ ბურდულს ბრიგადირი ჯალმაიძე და მწყემსი — მცნობარი ბესო ზაქაიძე.

— მხოლოდ ერთია, რაც გულს გვიდუღებს, — შენიშნავს ზაქაიძე, — ამ ოხერმა სიცივეებმა გაგვიჭირა საქმე. დიდად შეგვიწუხდა ბატკანი. მოყინვისაგან ზოგს ყური სძვრება, ზოგს ფეხი. მაგრამ ესეც ვეარაფერს დაგვაკლებს. წელს ბევრი სიძნელე გადავიტანეთ, არც ახლა მოვდუნდებით, შინ გამარჯვებულნი დავბრუნდებით.

ეს ლიტონი სიტყვები როდია. მლეთელებმა კარგად მოაწყეს დოლი. შრომა დაუფასდათ — მიღებული ნამატი შენარჩუნებულია.

თუ გსურთ გაიგოთ მწყემსის გულისნადები, აუცილებლად უნდა ესაუბროთ ენატკბილ მოუბარ ხანდაზმულ მწყემსს 72 წლის გიორგი წიკლაურს. ეს ჭარმაგი მოხუცი ორმოცდამეათე ზამთარს ატარებს ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე. მარტო ესეც კმარა მისი მწყემსური შრომის დახასიათებისათვის. იგი მაქართის სტალინის სახელობის არტელის წევრია. თავს მხნედ გრძნობს.

ძია გიორგის ბევრი განსაცდელი გამოუვლია, თავის მწყემსურ ცხოვრებაში რას არ შეხვედრია, მაგრამ ყველა სიძნელე თავისი უტეხი ნებისყოფით დაუძლევია. ასე ზრდის ახალგაზრდა მწყემსებსაც.

— გთხოვთ პარტიას და მთავრობას უთხრათ, — გამომშვიდობებისას გვთხოვა ძია გიორგიმ, — იმედი ჰქონდეთ ჩვენი. აბა, შვილო, მეტი რა ხელობა გვაქვს, გარდა მეცხვარეობისა! ჰირს არ შევირცხვენთ, 4.100 დედაცხვარზე ამდენსავე ბატკანს დავაბრუნებთ იალაღებზე; არც მატყლის მიღებაში ჩამოვრჩებით, გეგმას აქაც გადავჭარბებთ. აგრე არ არის, ადამ? — შეეხმიანა წიკლაური იქვე მდგომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ადამ ქავთარაძეს. — ჰო და, დამიდასტურე, კაცო, ხალხთან ჩემი ნათქვამი.

— აკი გიდასტურებ, ძია გიორგი! — თავის დაქნევით ღიმილით გადმოსძახა ქავთარაძემ.

სოფელ ჭართლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრალურ ბინაში მაშინ მივედით. როცა არტელის თავმჯდომარეს შალვა დანელიას შეეკრიბა სამუშაოდან თავისუფალი მწყემსები და კოლექტიურად ისმენდნენ რადიოგადაცემას თბილისიდან.

გადაცემა რომ დამთავრდა, ნაზმატყლიანი ცხვრის ბრიგადის ბრიგადირმა იოსებ ლაგაზაშვილმა თქვა:

— მადლობელი ვართ ჩვენი ქვეყნისა და ბედისა. ოღონდ ომი ნუ იქნება, ოჯახები ნუ აგვიწიოკდება და თუგინდ ორჯერ ამაზე უარესი ზამთარი დაგვიდგეს, ვეარაფერს დაგვაკლებს, ყველა სიძნელეს ვაჟკაცურად გადავლახავთ. პირობას ვიძლევი ჩემს ბრიგადაში 100 ცხვარზე მივიღო და გავზარდო 120 ბატკანი. ხოლო თვითეულ ცხვარზე წელს გავპარსო 7.5 კილოგრამი მატყლი, ნაცვლად შარშანდელი 5 კილოგრამისა. რას იტყვით, ბიჭებო, არ გამომყვებით შეჯიბრებაში?! — მიმართა იოსებმა მწყემსებს.

ამავე კოლმეურნეობაში დედაცხვრის მომვლელ მეორე ბრიგადას ვახტანგ ლალიაშვილი ხელმძღვანელობს. იგი 1958 წელს დემობილიზაციით საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებულა და ისევ თავისი ძველი პროფესიისათვის — მეცხვარეობისათვის მიუშურებია. მის შესახებ გვიამბეს, რომ თავმდაბალი, გულისხმიერი, გამტანი, მეგობრობის მოყვარული ადამიანია.

— გვიმრავლოს ვახტანგისთანა ვაჟკაცები, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — წელს მაგან ისეთ სიძნელეებს გაუძლო, რომ არ მოველოდი. დოლსაც წარმატებით ატარებს, ნამატის სიკვდილიანობას არ ჰქონია ადგილი. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ქორწილში თამადობას შევპირდი.

მიდელაანის კოლმეურნეობის ცენტრალურ ბინაში რომ მივედით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ახალგაზრდა მწყემსმა, რომელიც ფანჯრის რაფაზე დაწყობილ წიგნებს არჩევდა. დავინტერესდით მისი ვინაობით.

— ეს ახალგაზრდა ჩვენი პატარა ბიბლიოთეკის მუდმივი აბონენტია, — გაგვაცნო ფერმის გამგემ ვასილ ქენქაძემ, — ალექსანდრე ნადიბაიძე გახლავთ, დუშეთის რაიონის სოფელ მთიულეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი.

გამოვესაუბრეთ ნადიბაიძეს.

— თქვენს ბინაში წიგნები არა გაქვთ, ამ სიშორეზე რომ წამოსულხართ?

— რაც წიგნები გვქონდა, სულ წავიკითხე. ამათი ბიბლიოთეკა კი ჩვენთან შედარებით მდიდარია. სამი დღის წინათ წაღებული წიგნი დავაბრუნე, ახლა სხვას წავიღებ, ცხვარს რომ საძოვარზე გავყვები. მეტი რა საქმე მაქვს, უქმად ხომ არ დავკარგავ დროს! წიგნების კითხვა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უფრო შემიყვარდა.

— დიდი ხანია, რაც მწყემსობ?

— 1958 წელს, როგორც კი საშუალო სკოლა დავამთავრე, ცხვარში წამოვედი მწყემსად. ზოგ ჩემს ამხანაგს ეთაკილება ცხვარში წამოსვლა, მაგრამ ისინი ცდებიან. ალექსანდრე ყაზბეგი ხევის ბატონის შვილი იყო, მაგრამ შვიდი წელიწადი მწყემსობაში გაატარა. მე თუ მკითხავთ, ნამდვილი ცხოვრება აქ არის, აქ იწრთობა ადამიანი, აქ ადვილად გამოირკვევა, ფოლადია ის თუ დასაკანგი რკინა.

ჩვენი თანამოსაუბრე ენაწყლიანი გამოდგა, თანაც კარგი მწიგნობარი. მან გვიამბო, რომ ამ ზამთარს უკვე მოუსწრია წაეკითხა ი. ტურგენევის მოთხრობები, ანა ზეგერსის მოთხრობები და ნოველები, ი. ტაიცის „წყარო“, ბ. კავერინის „ორი კაპიტანი“. ახლა კი მიდელაანელთა „ბიბლიოთეკიდან“ წასაკითხავად შეერჩია მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ სხვა რაიონების ბინებში მეტად მცირეა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, ახალი ჟურნალ-გაზეთებიც იშვიათი ხილია მწყემსებისათვის. უკვე მოშწიფდა საკითხი, რომ ვიფიქროთ „მწყემსის ბიბლიოთეკის“ შექმნაზე. ჩვენი მწყემსების საგრძნობი ნაწილი ახლა საშუალო განათლებით არის, დანარჩენებსაც ზოგადი დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება აქვთ.

მიდელაანელებს ცხვრის გამოზამთრებასა და დოლის საქმეშიც ჩინებული მაჩვენებლები აქვთ. ამ არტელის თავჩობნები და მწყემსები ვასილ გაროზაშვილი, არჩილ ქენქაძე, ყიდა გაროზაშვილი, სერგო გამხიტაშვილი, სიმონ და ვასილ ქენქაძეები მწყემსური შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. შედეგიც საუკეთესოა.

ყიდა გაროზაშვილი 40-ჯერ აზამთრებს ცხვარს „სუხოი კუმის“ ტრამალებში. იგი მხნედ გამოიყურება. სანდომიანი მოხუცია. როგორც თვითონ ამბობს, ცხვარს მხოლოდ სიკვდილი დაამორებს.

ლენინგორის რაიონის რომელ ფერმაშიც ვიყავით, ეს იყო სოფელ უკანამარის, ყველდაბის, ლარგვისის თუ სხვა კოლმეურნეობებში. ყველგან ვხედავდით მწყემსების თავდადებას, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობას, მათი კოლექტიური შრომის შესანიშნავ ნაყოფს.

ლენინგორელ მეცხვარეთა ამ საერთო წარმატებაში თვალსაჩინო ადგილი მიუძღვის სამხრეთ ოსეთის ოლქის ვეტექიმს დიმიტრი კაკაბაძეს. იგი ორი წელია, რაც აქ მუშაობს და უკვე დაიმსახურა მწყემსების პატივისცემა და სიყვარული. დღე ისე არ გავა, რომ საზამთრო საძოვრებზე სამხრეთ ოსეთის ოლქის რწმუნებულთან ისაკ ჩარაევთან ერთად ერთხელ მაინც არ ინახულოს ფარები, არ შეამოწმოს ბატკნების მდგომარეობა და საჭირო მითითებები არ მისცეს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მაგრამ მწყემსები აქ ერთ რამეს მაინც სამართლიანად უჩივიან:

მიდელაანის კოლმეურნეობის ბინაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო კედლის გაზეთ „მეცხვარის ხმის“ ახალ ნომერში გამოქვეყნებულმა შენიშვნამ: „ასე არ უნდა იყოს“. შენიშვნაში ნათქვამია: „...რვა თვის განმავლობაში მოცილებული ვართ ჩვენს შშობლიურ მხარეს, ასეთ პირობებში მოკლებული ვართ კულტურულ დასვენება-გართობას. არ ინართება კინოსეანსები, კონცერტები. არა გვაქვს სამედიცინო მომსახურება. ექიმს ვერ ჩიგის, ფერშალიც არა გვყავს. კარგია, რომ საქონლის ექიმები ხშირად მოდიან, პირუტყვს მკურნალობენ. ჩვენ რაღა დავაშავეთ? კაცს რომ რაშე ასტკივდეს. როგორ წაგიყვანოთ 60 კილომეტრით დაშორებულ ჩორნი რინოკში! განა რა გაუჭირდა რაიონს, რომ ერთი ექიმი ან ფერშალი მოავლინოს ამ შორეულ მხარეში მწყემსების სამკურნალოდ!“

კომენტარი ზედმეტია. რაიონს ეს არ უნდა გამორჩენოდა მხედველობიდან.

* * *

კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებიდან მალე დაიძვრება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მრავალათასიანი ფარები. მწყემსები სტანიცა იშჩორსკაიას და ვოზნესენსკოეს რომ მოუახლოვდებიან, შვებით ამოისუნთქავენ. იქ მათ დახვდებათ ავტომანქანებზე მოწყობილი კონტეინერები, რომლებითაც მკაცრზამთარგამოვლილ ცხვარს მშობლიურ იალაღებზე გადმოიყვანენ.

ამ დღეებში კასპიისპირეთში მყოფ ჩვენს სახელოვან მწყემსებამდე აღწევს პოეტის მიერ მათზე თქმული სიტყვები:

> **დრო დადგა, ცხვარი აშალეთ,**
> **გადმოიარეთ მთა-ველი!**
> **უსახელონი არ მოხვალთ,**
> **არ გეყოლებათ მძრახველი.**
> **წამოდით, გზები დაკეცეთ**
> **შავი კლდეების ჩხერითა,**
> **და საქართველოს კარებში**
> **შემოდით გმირულ მღერითა!**

ა. კოკილაშვილი,

ნოღაეთი, მარტიოპრილი.

სურათზე: ლენინგორის რაიონის სოფელ თოთხის კოლმეურნეობა „საბჭოთა უკრაინის“ წარჩინებული მეცხვარე ანტონ თანდილაშვილი, რომელმაც თავი ისახელა მოსავლელად მიჩენილი ცხვრის მოვლა-პატრონობაში.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი,

25 აპრილი, 1960 წ.

სახალხო მეურნეობაში შავი ლითონების მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ

(დასასრული)

...ტ ტონას, ხოლო ივანოვის ტორფის მოწყობილობის ქარხნის ექსკავატორი, რომელსაც იმავე ტევადობის ციცხვი აქვს, 24 ტონას იწონის. ხარკოვის ლენინის სახელობის ქარხანა კვლავ უშვებს 8 ტონა ტვირთამწეობის ელექტროტალებს — ოთხმეს ორჯერ უფრო მძიმეს ასეთსავე ელექტროტალთან შედარებით, რომელიც აკეთებს ბარნაულის მანქანათმშენებელი ქარხანა. ყოველწლიურად უნდა გარეცელდეს გამოცდილება ურალის გაერთიანებულ ქარხნის კოლექტივისა, რომელმაც ფართოდ გამოიყენა მცირედ ლეგირებული ფოლადი, ნაგლინის ეკონომიური და ნაღუნი პროფილები ვაგონების კეთების დროს, მიაღწია მათი წონის შემცირებას და 1959 წელს ამ გზით 4 ათას ტონაზე მეტი ლითონი დაზოგა.

დიდძალი ლითონი შეიძლება დაზოგოთ მასობრივი გამოყენების დეტალების კონსტრუქციათა გაუმჯობესების შედეგად, დეტალებისა, რომლებიც მალე ცვდება. მაგალითად, შედგენილი სახნისის დანერგვა საშუალებას მოგვცემს დაზოგოთ წელიწადში 50 ათასამდე ტონა ფოლადი.

მანქანათმშენებლობის მუშაკებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ მანქანებისა და მოწყობილობის კონსტრუქციებში მსუბუქი შენადნობების, პლასტიკური მასების, მინის, ახალი ხელოვნური არალითონური მასალებისაგან გაკეთებული დეტალები, ხოლო მძიმე წონის დეტალებისათვის სადგარების, ჩარჩოებისა და ტრიბუსებისათვის — რკინა-ბეტონი. პლასტმასებით შავი ლითონების შეცვლის დიდი შესაძლებლობა გვაქვს ქიმიურ მანქანათმშენებლობაში, სადაც პლასტმასები შეიძლება გამოვიყენოთ ქიმიური მოწყობილობის საწარმოებლად, აგრეთვე დამცავ სახურავებად. ამასთან პლასტიკური მასების გამოყენებით გაკეთებული ქიმიური აპარატურის გამოსადეგობის ვადა ორ-სამჯერ დიდდება ლითონის აპარატურასთან შედარებით. ჩორნორეჩიის ქიმიურმა კომბინატმა 1959 წელს 500 ტონა ლითონი დაზოგა იმით, რომ პლასტმასებით შეცვალა იგი. მარტო ქიმიურ მანქანათმშენებლობაში შეიძლება დავზოგოთ მიმდინარე შვიდწლედში 60 ათას ტონაზე მეტი ლითონი.

მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის, განსაკუთრებით დაძაბულ-არმირებული რკინაბეტონის ფართოდ გამოყენებასთან ერთად უფრო სწრაფად უნდა დაინერგოს მასობრივი გამოყენების ელემენტი ეფექტიანი კონსტრუქციები. ლითონკონსტრუქციების დასამზადებლად მცირედ ლეგირებული და თერმულად დამუშავებული ფოლადების გამოყენება ამცირებს მათს წონას 15 პროცენტით და შვიდწლედში დაზოგავს დაახლოებით 850 ათას ტონა ნაგლინს. განსაკუთრებით ეფექტიანია მშენებლობისათვის გამოყენონ ლითონის ნაგლინი გამამტკიცებელი თერმული დამუშავებით, რომელიც ლითონის სიმკვიცეს აღიდებს მალეგირებელი დანამატების გამოუყენებლად. უფრო სწრაფად უნდა ვაშენოთ და ავამუშაოთ თერმული დამუშავების უბნები საგლინავ საამქროებში.

მშენებლობაში ხშირად იყენებენ უფრო მძიმე პროფილებს, ვიდრე გათვალისწინებულია პროექტით, და ამის გამო ხდება ბევრი ლითონის გადახარჯვა. მაგალითად, ჩელიაბინსკის ქარხნის მილშესაფუდებელი საამქროს შენობის კონსტრუქციები დამძიმებული იყო 16 პროცენტით, ამგვარსივეკის ცემენტის ქარხნის ღუმელის განყოფილებისა — 20 პროცენტით.

ძალიან საჭიროა შემცირდეს ლითონის ხარჯვა საბინაო მშენებლობაში. ყოველ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე ლითონის ხარჯვის შემცირება 1 კილოგრამით წელიწადში დაზოგავს 1 მილიონ ტონა ნაგლინს. მაგრამ საპროექტო ორგანიზაციები და მშენებლები ჯერ კიდევ ყოველთვის როდი ზრუნავენ ლითონის ეკონომიისთვის. ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ტიპურ პროექტში, რომელიც შეიმუშავა მოსკოვის ინსტიტუტმა „გიპროგორმა“, ლითონის ხარჯვა კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე 8 კილოგრამით მეტია, ვიდრე პროექტში, რომელიც შეიმუშავა უკრაინის ინსტიტუტმა „გიპროგორმა“.

ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია და საწარმო უყაირათოდ ხარჯავს ლითონს სხვადასხვა ცხაურის, გალვანის, ბოძის, საყრდენის დასამზადებლად. საჭიროა დაჯერით შემცირდეს ლითონის ხარჯვა ასეთი მიზნებისათვის და ლითონი შეიცვალოს სხვა, უფრო იაფი მასალებით.

ნავთობისა და გაზის მრეწველობაში ნაკლები დიამეტრების ჭაბურღილების ბურღვაზე გადასვლით შვიდწლედში შეიძლება დაიზოგოს დაახლოებით 250 ათასი ტონა საბურღი და სამაგრი მილები, მეტალურგებმა ამისათვის უნდა გაადიდონ საჭირო ზომების დიდი სიმტკიცის საბურღი და სამაგრი მილების წარმოება. დიდძალი ლითონი შეიძლება დაიზოგოს სხვადასხვა სისქის კედლების მილების გამოყენებით მაგისტრალური მილსადენების მშენებლობის დროს და აზბესტცემენტისა და რკინაბეტონის ნაწილი მილების დანერგვით ფოლადის მილების ნაცვლად.

ლითონის ეკონომიის მნიშვნელოვანი რეზერვებია სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგშიც.

ფოლადის გამოდნობის გაზიდვების განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი რეზერვია ლითონის ჯართის რესურსების გაზიდვა, რადგან ცნობილია, რომ ფოლადის გამოდნობის მოცულობა პირდაპირ დამოკიდებულია შავი ლითონის შეგროვებული ჯართის რაოდენობაზე. საკმარისია ითქვას, რომ ლითონის ჯართის შეგროვების გეგმის მარტო ერთი პროცენტის გადაჭარბებით შეხრულება მიმდინარე წელს საშუალებას მისცემს მეტალურგებს დამატებით გამოადნონ 200 ათას ტონაზე მეტი ფოლადი. ასეთი რაოდენობის ფოლადი ჩვეულებრივი გზით რომ მივიღოთ, საჭირო იქნებოდა დამატებით გამოგვეღნო 200 ათას ტონაზე მეტი თუჯი, რომლის წარმოებისათვის უნდა მოგვეპოვებინა 500 ათას ტონამდე რკინის მადანი და 250 ათასი ტონა კოქსადი ქვანახშირი.

საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუშაობა ყველა სახეობის შავი ლითონების ჯართის შესაგროვებლად, დასახარისხებლად და გადასამუშავებლად. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფხიზლებურად უნდა აწარმოონ ფართო მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მუშაკებში, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში ლითონის ჯართის შეგროვების მნიშვნელობის შესახებ და აქტიური მონაწილეობა მიიღებინონ მათ ამ საქმეში.

ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ ბევრი ლითონის ჯართი გაუფასურებულია და სამუდამოდ იკარგება იმის გამო, რომ მას არადამაკმაყოფილებლად ინახავენ და ცუდად ამზადებენ გადასადნობად. ლითონის ჯართი ფანგდება. მისი სხვადასხვა სახეობა ერთმანეთში ირევა. ბურბუშელას მეტწილ შემთხვევებში დაპაკეტებულს არ ამარებენ. ყოველივე ამის გამო ყოველწლიურად 1,5 მილიონ ტონაზე მეტი შეგროვებული ლითონი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფოლადსადნობად და სამსხმელო საწარმოებში. დაქუცმაცებული ბურბუშელისა და დაუპაკეტებელი ჯართის ამოწვა ასეულ ათასობით ტონას აღწევს წელიწადში. ლითონის ჯართის არევისა და მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო სამუდამოდ იკარგება ისეთი ძვირფასი და დეფიციტური მალეგირებელი ელემენტები, როგორიც არის ნიკელი, მოლიბდენი და სხვ.

საჭიროა მოეწყოს ბურბუშელისა და სხვა მცირეგაბარიტიანი ლითონის ჯართის ჯეროვანი შენახვა, დახარისხება და გადამუშავება მისი დაბრიკეტებისა და დაპაკეტების გზით.

არ შეიძლება არ ითქვას იმ ლითონის შეუწყნარებელ დანაკარგზე, რომელსაც იყენებენ ჭვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობაში სამთო გამონამუშევრებისა და ასაწმენდი სანგრევების გასამაგრებლად შახტებსა და მაღაროებში. მაღაროელებს შეუძლიათ მიიღონ და კიდევაც უნდა მიიღონ ღონისძიებანი ლითონის ამ დანაკარგების შესამცირებლად.

სახალხო მეურნეობაში არის ასეულ ათასობით ტონა მორალურად გაცვეთილი და გამოსაყენებლად გამოუსადეგარი მანქანები და მოწყობილობა. გაცვეთილი მოწყობილობის დროზე ჩაბარება ჯართად მნიშვნელოვნად გაადიდებს ლითონის ჯართის რესურსებს და არსებითად გაზრდის ფოლადის გამოდნობას.

ლითონის დანაკარგების შემცირებაში დიდი როლი ეკუთვნით შავი მეტალურგიის მუშაკებს. მეტალურგებმა უნდა გააუმჯობესონ ნაგლინის ხარისხი და ასორტიმენტი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო რაციონალურად ვხარჯოთ ლითონი მანქანათმშენებლობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მუშაობის გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს იმას, რომ ლითონის დანაკარგი შეიძლება შემცირდეს მისი წარმოების პროცესში ყველა მეტალურგიული გადამუშავების დროს წუნის, ფოლადის ჩამოსხმის დროს დანაკლისის, გახურების დროს ამოწვისა და გლინვის დროს ჩამოჭრის შემცირების გზით. გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ თუ ყველა მეტალურგიულ ქარხანაში ლითონის კაზმის ხარჯვას ერთ ტონა მარტენის ფოლადის წარმოებაზე დავიყვანთ იმ დონემდე, რასაც კუზნეცკელმა მეტალურგებმა მიაღწიეს, შეიძლება წელიწადში დამატებით გამოვადნოთ მილიონ ტონამდე მეტი ფოლადი. ლითონის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა წარმოების გაფართოება და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ნახევრადშვიდი ფოლადის გამოდნობის გამოყენება ნაცვლად მდუღარე ფოლადისა, დაკალიბრებული და თერმულად დამუშავებული ლითონის, მცირედ ლეგირებული ფოლადის ნაგლინის, ეკონომიური და ღუნვილი პროფილების ნაგლინისა და მილების ჩარმამის გაფართოება, აგრეთვე ფოლადის განუწყვეტელი ჩამოსხმის ათვისება.

მეტალურგები დღემდე ცოტას უშვებენ პირიოდულ პროფილებს. აგრეთვე ადიდში გატარებულ, განსაკუთრებით დიდი სიმტკიცის მავთულს რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირებისათვის. დიდი სიმტკიცის მავთულის გამოყენება რკინაბეტონის წინასწარ დაძაბულ კონსტრუქციებში გლინულის ნაცვლად ზოგავს ლითონის 60 პროცენტზე მეტს. დროა შეწყდეს გლინულის გამოყენება რკინაბეტონის არმირებისათვის, რადგან ჩვენი ქვეყანა ამით ყოველწლიურად კარგავს 300 ათას ტონაზე მეტ ლითონს. საჭიროა აგრეთვე განვავითაროთ ეკონომიური თხელკედლიანი, ელექტროშედუღებული, ორშრიანი და ცივადწეული მილების წარმოება. მოვახდინოთ ლითონის ნაკეთობათა წარმოების მოდერნიზება, ფართოდ დავნერგოთ სამაგრი ნაკეთობის დამზადება გამოწნეხვის პროგრესული მეთოდებით ნაცვლად კუთხვისა, რაც შესაძლებელს გახდის დაიზოგოს სულ ცოტა 150 ათასი ტონა ლითონი წელიწადში.

ლითონი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიძლება დაიზოგოს კოროზიასთან ბრძოლის გაძლიერების შედეგად, ანტიკოროზიული დაფარვის გამოყენებით. მეტალურგებმა უნდა მოაწყონ ორშრიანი ლითონების წარმოება, კერძოდ მილების, ბლასტმასის, მინის, მინანქრის და სხვ. საცავი დაფარვით. საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ლითონის დროებით დაფარვა საცავი საცხებით ან სპეციალური ფირებით მისი ტრანსპორტირების წინ. ქიმიურმა მრეწველობამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს დაფარვის, კერძოდ ლაქებისა და სალებავების ხარისხი.

ძვირფასო ამხანაგებო!

შავი ლითონების რაციონალურად ხარჯვა, ბრძოლა მათი ეკონომიისათვის უნდა გახდეს საყოველთაო-სახალხო საქმე და ხორციელდებოდეს ყველგან — ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს მებრძოლურად ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში შავი ლითონების ეკონომიური ხარჯვისათვის.

თვითეულ საწარმოში, მშენებლობაზე, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში საჭიროა შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შავი ლითონების ხარჯვის შემცირება. დაწესდეს ხარჯვის პროგრესული ნორმები, მიღწეულ იქნას მანქანებისა და სხვა ნაწარმის წონის შემცირება და ამავე დროს გაუმჯობესებულ იქნას მათი ხარისხი, მიღებულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი ლითონის ეკონომიისათვის.

უნდა მოეწყოს სიზუსტიანი კონტროლი შავი ლითონების სწორი გამოყენებისადმი. ყოველ საწარმოსა და ყოველ ორგანიზაციაში საჭიროა შეიქმნას კომუნისტებისა და აქტივისაგან შემდგარი კომისიები ლითონის ეკონომიისათვის, რომლებიც თვალყურს ადევნებენ თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილებისა და ლითონის ნაწარმის ხარჯვას, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე დაიყენებენ ლითონის ეკონომიის საკითხებს და მიიღებენ ღონისძიებებს მის ხარჯვაში ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, განახლავენ რა ამ წერილს, ყოველივეს გააკეთებენ, რაც საჭიროა, რათა მიეგადწიოთ შავი ლითონების მნიშვნელოვან ეკონომიას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობა თუჯით, ფოლადით, ნაგლინითა და მილებით, უფრო სწრაფად ვიაროთ წინ ტექნიკური პროგრესის გზით, ხელს შეუწყოთ სახალხო მეურნეობის უფრო წარმატებით განვითარებას და ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების, მშენებლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მიტინგი ხოსე დიასის ძეგლთან. სიტყვას ამბობს ამხ. დოლორეს იბარური.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

თბილისში გაიხსნა ხოსე დიასის ძეგლი

გუშინ, 27 აპრილს, თბილისში ვერის ბაღელ სასაფლაოზე გაიხსნა ძეგლი ესპანეთის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ხოსე დიასისა, რომელიც დაკრძალულია საქართველოს დედაქალაქში.

ძეგლის გახსნაში მონაწილეობისათვის, რომელიც დაემთხვა ხოსე დიასის დაბადების 65 წლისთავს, ჩამოვიდა ესპანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის თავმჯდომარის ამხ. **დოლორეს იბარურის** მეთაურობით.

დღის პირველ საათზე ხოსე დიასის საფლავთან გაიმართა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი. გამოჩენილი რევოლუციონერის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ ამხანაგები **გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუბეკა, ი. გ. რთველიაშვილი,** მინისტრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქალაქის საწარმოთა მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, თბილისში მცხოვრებ ესპანელ პოლიტიკურ ემიგრანტთა ჯგუფი.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა **კ. ბარდაფუსაძემ.** საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ პრემიერის მოადგილე **მ. თალაკვაძის** მიერ შესრულებული ძეგლი წარმოადგენს ხოსე დიასის ბრინჯაოს ფიგურას ნახევრადდაგრეული ქედლისა და აფრიალებული ფრთელი ქსოვილის ფონზე. ქანდაკება წარმოადგენს ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანელ რესპუბლიკელთა გმირული ბრძოლის სიმბოლოს. ვარცხლბეკი აგებულია კერესებისა და ტაქი რუხი უკრაინული გრანიტისაგან. ძეგლის სიმაღლეა 2,75 მეტრი, სამ ენაზე — ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებზე ამოკვეთილია წარწერა:

ხოსე დიასი
ესპანეთის კომუნისტური პარტიისა
და საერთაშორისო მუშათა
მოძრაობის მოღვაწე
27/IV-1895 — 20/III-1942

ხოსე დიასის საფლავი შეამკეს გვირგვინებით ესპანეთის კომუნისტური პარტიისგან, საქართველოს. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოსაგან, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისაგან, ხოსე დიასის ცოლისა და ქალიშვილისაგან, ესპანელი პოლიტიკური ემიგრანტებისაგან.

სიტყვას ამბობს თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ფერვთაძე. დღეს, ამბობს იგი, ჩვენ შეკრებილები ამ ადამიანის ძეგლის გახსნაზე, ვისი მგზნებარე და შთაგონებული სიცოცხლე მუდამ იქნება თაყვანისმცემლისადმი, თავგანი ხალხისადმი ერთგული სამსახურის ნიმუში. ჩვენ თავს ვგრძნობ ესპანელ პატრიოტთა მამაცობის წინაშე, ეამაყობთ მათი შეუდრეკელი ნებით, რომელიც ვერ გატეხა ვერც საპყრობილეებმა, ვერც კატორღამ, ვერც ხერტლამ.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა ესპანელი მ. ბარსია ლაპარაკობს მადლობისა და სიხარულის მღელვარე გრძნობებზე, რომლებსაც განიცდიან თბილისში მცხოვრები ესპანელი პოლიტიკური ემიგრანტები პროლეტარიული ინტერნაციონალიზმის იდეებისათვის მებრძოლის, ესპანეთის მუშათა კლასის ბელადის ხოსე დიასის ძეგლის გახსნის გამო.

— დღეს, — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თ. გამყრელიძემ, — ჩვენ ძეგლს ვიხსნით იმ ადამიანს, რომელიც პასიონარიასთან ერთად ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი ესპანეთში ფაშიზმის და ოლიგარქიის წინააღმდეგ ბრძოლის. 18 წლის წინათ მოწყდა მისი გული ძვირფასი ხალხმა იგი დაასაფლავა თავის მიწაში, როგორც ლეონი შვილი. ჩვენ გვწამს, რომ ფრანკოს სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ალაფლი, რომელიც ესპანეთის მიწა-წყალზე გაზგაზებს, ხალხის გამარჯვებით დამთავრდება.

სიტყვა ეძლევა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ესპანეთის ეროვნული ასამბლეის დეპუტატ **ფ. ბეტანკორს.**

— ეს ბრძოლა, — ამბობს ფერვანდო, — ამბობს ფერნანდო, — ამბობს ფერნანდო, — ამბობს ფერნ

ხალხის რისხვა — ლი სინ მანს

ლონდონი, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, საბჭოთა კორეის ეროვნულმა კრებამ მიიღო ყველა პარტიის მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ლი სინ მანს გადადგეს მის მიერ დაკავებული ყველა პოსტიდან.

ფხენიანი, 26 აპრილი. (საკდესი). სეულიდან გადმოცემული ცნობებით, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მაკონაგი და ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალი საბჭოთა კორეაში გენერალი მაგრუდერი სასწრაფოდ შეხვდნენ ლი სინ მანს და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მასთან.

მოლაპარაკების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ხალხმა პატივი უნდა სცეს კანონსა და წესრიგს, შესაძლებლობა მისცეს მთავრობას განახორციელოს მთელი რიგი კონსტრუქციული ღონისძიებანი“.

ფხენიანი, 26 აპრილი. (საკდესი). ოფიციალური მონაცემებით, რომელიც ლი სინ მანის ხელისუფლებამ გამოაქვეყნეს, 19 აპრილის მღელვარების დროს სამხრეთ კორეაში მოკლული იქნა 138 კაცი და დაიჭრა 1428 კაცი. ვერ გადარჩება სულ ცოტა ასი მძიმე დაჭრილი, რომლებიც პირველი დღის შეტაკებისას დაიჭრნენ.

არასრული ცნობებით, დღეისათვის დაღუპულთა რიცხვი მოკლულთა და ჭრილობებისგან გარდაცვლილთა სახით აღწევს ორას კაცს; დაჭრილთა რიცხვი ორი ათასს აღემატება.

ნიუ-იორკი, 26 აპრილი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, რომ მიღებულ რეზოლუციაში სამხრეთ კორეის ეროვნულმა კრებამ, ლი სინ მანის დაუყოვნებლივ გადადგომის გარდა, მოითხოვა ძალადაკარგულად ცნონ 15 მარტის პრეზიდენტის არჩევნები და მოეწყოს ახალი არჩევნები; მიიღონ კონსტიტუციის შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მართვის „სრულყოფილ“ საპარლამენტო სისტემას დროებითი კაბინეტის ხელმძღვანელობით;

ამ შესწორების მიღების შემდეგ დაითხოვონ ეროვნული კრება და დაუყოვნებლივ მოეწყოს პარლამენტის ახალი არჩევნები.

ნიუ-იორკი, 26 აპრილი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება:

ლი სინ მანის 12 წლის მმართველობა სამხრეთ კორეაში შეიწყა... 85 წლის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის გადადგეს, მოაწყოს ახალი არჩევნები და უარი თქვას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რათა ბოლო მოეღოს კრიზისს.

ათასობით კორეელი დაუყოვნებლივ გარს შემოერტყა ლი სინ მანის ქალაქგარეთა სასახლეს, რათა მისი საკუთარი პირით მოესმინათ სენსაციური განცხადება გადადგომის შესახებ.

აღტაცებამ მოიცვა კორეის დედაქალაქი სეული. პოლიციელები გაერინენ ქალაქის ქუჩებიდან. მოზეიმე ხალხი განიერი ქუჩით გაემართა ეროვნული კრების შენობისაკენ; ბავშვები თამაშობდნენ პოლიციელების მიერ მიტოვებულ ჯუხტრებში, რომლებიც წარმოადგენდნენ ლი სინ მანის მმართველობის დროის მონობისა და წამების სიძულველ სიმბოლოს.

ნიუ-იორკი, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც უცხოეთის კორესპონდენტები სეულიდან იუწყებიან, ლი სინ მანი დღეს გადადგა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ამის შესახებ გააკეთა მას შემდეგ, რაც მას სახლს გარს შემოერტყა ნახევარ მილიონამდე დემონსტრანტი.

მთელ დღეს სეული ქვაბსავით დუღდა. დემონსტრანტებმა დაარბიეს მთავრობის ბევრი დაწესებულება, ცეცხლი წაუკიდეს საგარეო საქმეთა მინისტრის, მმართველი ლიბერალური პარტიის ვიცე-პრეზიდენტის, ეროვნული კრების ვიცე-თავმჯდომარისა და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეთა სახლებს, კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს ლი სინ მანის ორი ქანდაკება. ლი სინ მანის ერთი ბრინჯაოს ქანდაკება მათ მიაბეს სიბინძურის საზიდ მანქანას და ასე ატარებდნენ მთელ ქალაქში. პოლიციამ და ჯარებმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს შეეჩერებინათ დემონსტრანტთა შემოტევა, მათ წინააღმდეგ, როგორც წინა დღეებში, გამოიყენეს ცრემლსადენი გაზები, ტანკები. უკვე შუადღისათვის, არასრული მონაცემებით, ქალაქში მოკლული იყო 30-ზე მეტი კაცი და დაიჭრა დაახლოებით 200 კაცი.

მღელვარება კვლავ მოედო მთელ სამხრეთ კორეას. ჯარს ყდნენ პუსანი, ტეგუ, ტეჯონი და კვანჯუ. ხელისუფალნი იძულებული გახდნენ კვლავ შემოეღოთ ამ ქალაქებში საალყო წესები.

პუსანში 60 ათასი დემონსტრანტი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, დაწვა პროვინციული ადმინისტრაციული სამმართველოს და მუნიციპალიტეტის შენობები, აგრეთვე ლი სინ მანის ბევრი დამქაშის სახლები, დაარბია პოლიციის სამმართველო, ლიბერალური პარტიის შტაბ-ბინა, პროვინციის გუბერნატორის სახლი და სხვ.

ტეგუში დემონსტრანტმა სტუდენტებმა მინები ჩაამტვრიეს მთავრობის მომხრე გაზეთების რედაქციებში, დაწვეს მთელი ოლქუმენტები ლიბერალური პარტიის საქალაქო კომიტეტში, თავს დაესხნენ ჩრდილოეთ კენსანის პროვინციის გენერალ-გუბერნატორის, პოლიციის სამმართველოს უფროსის სახლებსა და „ახალგაზრდობის ანტიკომუნისტური ლიგის“ შტაბ-ბინას.

სეულში, როცა ასეულ ათასობით დემონსტრანტი გარს შემოერტყა ლი სინ მანის რეზიდენციას და მოითხოვდა მის გადადგომას, ცაში გამოჩნდა ორი ვერტმფრინავი. ქალაქში გაავრცელა ხმები, რომ ლი სინ მანი გაიქცა. ამ დროისათვის გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა მმართველი პარტიის ყველა ლიდერი.

მთავრობის სიწინააღმდეგო გამოსვლების მასშტაბით შეშფოთებული ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სეულში მაკონაგი ღღეს ორჯერ ეთათბირა ლი სინ მანს. მეორედ იგი ლი სინ მანის რეზიდენციაში მიეიდა სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდლის გენერალ მაგრუდერისა და სამხრეთ კორეის არმიის შტაბის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ სონ ია ჩანის თანხლებით. ამერიკის ელჩთან მეორე შეხვედრის დამთავრებისთანავე ლი სინ მანი რადიოთი გამოვიდა და განაცხადა, რომ იგი დატოვებს პრეზიდენტის პოსტს.

ძნელი გასაგები არ არის ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ლი სინ მანზე, რადგან ამერიკის მთავრობა ცდილობს ახლა გადაარჩინოს სამხრეთ კორეაში ის, რის გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება. ლი სინ მანი ფრიად ოდიოზური ფიგურაა, ხოლო მისი რეჟიმი უაღრესად საძულველი გახდა სამხრეთკორეელი ხალხისათვის. კორეელი ხალხის მზარდი უკმაყოფილება ამინდს ამერიკის შეერთებულ შტატებს. სამხრეთ კორეაში თავიანთი პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან ახლა მსხვერპლად გაიღონ ლი სინ მანი და იმედი დამყარონ სამხრეთ კორეის მეორე ლიდერზე, ვაშინგტონის არა ნაკლებ ერთგულ, მაგრამ უფრო მორჩილ ლიდერზე, ვიდრე ლი სინ მანი იყო.

დღეიდან მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება სამხრეთ კორეაში, ეროვნული კრების გადაწყვეტილებით, უნდა გადავიდეს ახლად დანიშნულ საგარეო საქმეთა მინისტრის ხო ჯონის ხელში. მაგრამ ლი სინ მანი ჯერ კიდევ ეძალუნება ხელისუფლებას, ცდილობს მანევრობას, დროის მოგებას. მან თავისი გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ ძალიან ბუნდოვნად დაიფორმულა და კორესპონდენტებს განუცხადა, რომ იგი თავის კანდიდატურას წამოაყენებს პრეზიდენტის ახალ არჩევნებზე, რომლის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილება დღეს მიიღეს ეროვნულმა კრებამ და თვით ლი სინ მანმა.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

◆ **26 აპრილს ჩეხოსლოვაკიაში** ჩავიდა საბჭოთა არმიის ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლი. ანსამბლი კონცერტებს გამართავს საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის დროს.

◆ **კორსიკის** კუნძულის დედაქალაქ აიაჩოში შეიქმნა არტანტელის მასივში ატომგულის მიწისქვეშა აფეთქებათა ექსპერიმენტული ცენტრის შექმნის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი. ამ კომიტეტში შედნენ მრავალი პოლიტიკური და პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები. კუნძულის მოსახლეობაში ვრცელდება ფურცლები, რომლებიც კორსიკელებს მოუწოდებენ პროტესტი განაცხადონ კუნძულზე ატომგულის იარაღის დამლუპველი გამოცდის წინააღმდეგ.

◆ **ვიეტნამის** დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა ცნოს აფრიკის ახალი სახელმწიფო — ტოგოს რესპუბლიკა.

◆ **გლამორგანშირის** საგრაფოს (ინგლისი) ბლანგარვის ქვანახშირის შახტაში გაფიცვა გაგრძელდეს მაღაროელებმა, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას. კაუღლში ოქსფორდის ახლოს „ბრიტიშ მოტორ კორპორეიშნის“ კომპანიის ერთ-ერთი ქარხნის 600 მუშამ აგრეთვე გამოაცხადა გაფიცვა იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ უარი თქვა გაედიდებინა ზეგმეტი სამუშაოს ანაზღაურება.

◆ **ლისინმანელთა** ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში იან იუ ჩანი გადადგა. როგორც იან იუ ჩანის განცხადებიდან ჩანს, მისი გადადგომა დაკავშირებულია უკანასკნელ ამბებთან სამხრეთ კორეაში.

◆ **ბრისტოლის** ახლოს დაჯდომის დროს დაიმსხვრა ინგლისის ახალი ავიაგამანადგურებელი, რომელიც განკუთვნილი იყო წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოფიცერი-ნავიგატორი ეკიპაჟის სამივე წევრი დაიღუპა.

◆ **დელიში** ჩავიდა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი. (საკდესი).

საფრანგეთის პარლამენტში

პარიზი, 26 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სისოევა გადმოგვცემს:

დღეს აქ გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტის — ეროვნული კრებისა და სენატის მორიგი სესია. ეროვნული კრების დღის წესრიგის პირველი საკითხია მთავრობის კანონშეოქმედების განხილვა სოფლის მეურნეობის დარგში. როგორც ცნობილია, მთავრობის აგრარულმა პოლიტიკამ გლეხთა მასების მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია და ამ ბოლო დროს გახდა საბაბი მთელი რიგი დიდი დემონსტრაციებისა საფრანგეთის სხვადასხვა დეპარტამენტში. გლეხთა განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია მთავრობის მიერ ფასების ინდექსების სისტემის გაუქმებამ, რომლის შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები დამოკიდებული უნდა იყოს სამრეწველო საქონლის ფასების დონეზე. ამ შეშფოთებამ გაკვლევა მოახდინა ბევრი დეპუტატის პოზიციაზე, რომლებმაც მოითხოვეს ამა წლის მარტში პარლამენტის საგანგებო სესიის მოწვევა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის განსახილველად.

ეროვნული კრების სესიის გახსნას ოფიციალური ცერემონიის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა მიშელ დებრემ, რომელიც შეეხო სოფლის მეურნეობის პრობლემებსა და ურთიერთობას აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის.

დე გოლი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 26 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დე გოლი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება შეერთებულ შტატებში, დღეს ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში ჩავიდა.

ამერიკელი ელჩის ქედგაღლეჯრი გაფრთხილება

ტოკიო, 27 აპრილი. (საკდესი). ამერიკის ელჩმა იაპონიაში მაკარტერმა, რომელიც გუშინ გამოვიდა იაპონიის საკვლევი ინსტიტუტის მიერ მის პატივსაცემად გამართულ სადილზე, მოითხოვა, რომ იაპონიამ დაუყოვნებლივ შეამციროს სიმაღალ ბარიერები ამერიკის საქონლის მიმართ, თუ იგი აპირებს კვლავაც ისარგებლოს „შეერთებული შტატების ლიბერალური საიმპორტო პოლიტიკის სიკეთით“.

ასეთი აშკარა გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულ ეკონომიურ სანქციებს მიმართავენ იაპონის საქონლის მიმართ, თუ იაპონია უარს იტყვის ფართოდ გაეღოს კარი ამერიკის საქონელსა და კაპიტალს, ნათელს ფენს „საგარეო პოლიტიკის ლიბერალიზაციის“ და ვალუტის გაცვლის ახლანდელ პოლიტიკას, რომელსაც კისის მთავრობა აბორიგენებს იაპონია-ამერიკის ახალი „უშიშროების ხელშეკრულების“ მოთხოვნების შესაბამისად.

ᲛᲔᲦᲔᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲝ ᲫᲘᲚᲐ

თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა და ხაჭართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხაზეფხულო თეატრში დიდი წარმატებით გამოდის ცნობილი იტალიელი ხაესტრადო მომღერალი კლაუდიო ვილა.

ჩვენ კლაუდიო ვილას შევხვდით თბილისის პირველი კონცერტის წინ სასტუმრო „ინტურისტში“ და ვთხოვეთ მოეთხრო ზოგიერთი რამ თავისი ცხოვრებიდან. ვილამ განაცხადა:

— დავიბადე და ვიზრდებოდი ტრასტევერაში — რომის ღარიბ-ლატაკთა გარეუბანში, სადაც იტალიური ეგზოტიკის მოყვარულ უცხოელ ტურისტებს მაინცდამაინც არ უყვართ სიარული. სწორედ ამ უბანში მცხოვრებმა რიგითმა იტალიელებმა ჩამინერგეს ხალხური მელოდიების სიყვარული. ბავშვობიდანვე გატაცებით ვმღეროდი იტალიური ხალხური სიმღერებს, განსაკუთრებით ღარიბთა კვარტალების სევდიან, მელანქოლიურ სიმღერებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა წარმატებით ვმღეროდი პატარა კაფე-რესტორნების ესტრადაზე, უფრო ხშირად კი ქუჩებში, ბალებსა და სკვერებში...

• • •

კლაუდიო ვილას თბილისური გასტროლების რეპერტუარი უმთავრესად ჩვენთვის კარგად ნაცნობ ნეაპოლიტანურ და იტალიურ სიმღერებს შეიცავდა. მაგრამ მომღერლის სახახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ისეთი ოსტატობით, გულში ჩამწვდომი ლირიზმით და ემოციურობით ახრულებს ძველ ცნობილ მელოდიებს, რომ გვინიათ, თითქოს სრულიად ახალ უცნობ სიმღერებს ისმენდეთ.

კლაუდიო ვილას მეფე ტრიბიციოს სახელობის ოპერეტა — შესრულებული სიმღერები-დან ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა კომპოზიტორ ლოპესის „მექსიკომ“, სადაც განსაკუთრებით გამომეცადა მომღერლის შესანიშნავი ვოკალური ტექნიკა. თბილისელ მსმენელებს ძლიერ მოეწონათ აგრეთვე მოღუნიოს „ო. ლარე“ და გრანატას „მარინე“ — იუმორითა და უშუალობით აღსავსე, უაღრესად თავისებური, მომხიბლავი მელოდიური სიმღერა. შესანიშნავად ეფერდა იტალიელი სიესტარდო მომღერლის შესრულებით კომპოზიტორ ტოსტის „უკანასკნელი სიმღერა“, „მარეკიარე“, ტალიაფერის „მშვიდობით, ნეაპოლო“, აგრეთვე „ბზა“, რომლის სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის თვით კლაუდიო ვილას.

იტალიელი მომღერლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს ხაესტრადო ანსამბლი და განსაკუთრებით დირიჟორი, კომპოზიტორი და შესანიშნავი აკომპანიატორი (პიანისტი) ლუის ენრიკესი.

დ. გველესიანი.

• • •

სურათზე: მღერის კლაუდიო ვილა.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თბილისელი კალათბურთელები ფინალში გავიდნენ

ვარშავა, 27 აპრილი. დღეს გვიან ღამით „კომუნისტის“ რედაქცია ვარშავაში ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს **ვ. ჩოფიკაშვილს**. მან გვაცნობა:

თბილისის „დინამოსა“ და ვარშავის „პოლონიას“ კალათბურთელთა კოლექტივების მეორე ნახევარფინალური მატჩისადმი ინტერესი ევროპის ჩემპიონთა თასზე, განსაკუთრებით დიდი იყო. მართალია პოლონელებს რევანშის აღების იმედი, ისიც 24 ქულის განსხვავებით არ ჰქონდათ, მაგრამ მათ სურდათ ენახათ თბილისელი დინამოელთა ტემპიანი და ლამაზი კომბინაციური თამაში, რომლის შესახებ მათ ბევრი წუტკინთხავთ პრესის ფურცლებზე.

ბუნებრივია, „პოლონიას“ სასპორტო დარბაზი, რომელიც არც თუ ისე დიდია, მატჩზე დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევდა, ბილეთები კი დიდი ხნით ადრე იყო გაყიდული.

დინამოელები სამ რძოლველად გამოვიდნენ კოლაძის, მინაშვილის, ლეკვაძეს, უგრეხელიძისა და ოსეფაშვილის შემადგენლობით. მასპინძელთა რიგებში ვხედავდით კალათბურთელთა პირველ ხუთეულს, რომლებიც თბილისში გამოვიდნენ.

თამაში თავიდანვე თბილისელებმა წაიყვანეს. მათ მოწინააღმდეგეს მაღალი ტემპი შესთავაზა და ამ წყობრი იერიშებს განახორციელეს. მე-5 წუთისათვის ანგარიში იყო 14 : 4, ხოლო მე-8 წუთისათვის 17 : 6. ბრძოლის შემდეგ წუთებში მასპინძლები გააქტიურდნენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვიზოიკი და პისკუნი. პირველმა მთელ თამაშში თავიდან ბოლომდე 24 ქულა შესძინა, მეორემ — 22.

პირველი ტაიმი დინამოელებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 34 : 30.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ბრძოლა შეუჯოვარი იყო. გაიმარჯვეს თბილისს დინამოელებმა 64 : 61. დინამოელებიდან გამოირჩეოდნენ კილაძე და მოსაშვილი. პირველმა თავის ბუნდს მოუტანა 16 ქულა, მეორემ — 11.

ამრიგად, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა, სადაც შეხვდება რიგის სკა-ს გუნდს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

გუშინ მოსკოვში, სტალინოში, კუიბიშევსა და ვილნიუსში გაიმართა „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი ასპარეზობები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

მოსკოვი. დედაქალაქის სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩმა. ბრძოლა შეუჯოვარი იყო. იგი დამთავრდა კიევის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

სტალინო. ადგილობრივი „შახტიორი“ თავის მოედანზე შეხვდა „ა“ კლასის დებიუტანტს ალმა-ათის „კაირატს“. შეჯიბრება მასპინძელთა უპირატესობით წარმართა და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ 2:0.

კუიბიშევი. ბაქოს „ნეფტიანიკი“ სამი დამარცხების შემდეგ კუიბიშევში შეხვდა ადგილობრივ „კრილია სოვეტოვს“. მოწინააღმდეგეებმა შეძლეს თითო ბურთის გატანა და მატჩი ფრედ (1:1) დაამთავრეს.

ვილნიუსი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ვილნიუსის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის „ადმირალტეიცის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. მატჩის შედეგია 3:2 „ადმირალტეიცის“ სასარგებლოდ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

მდგომარეობა 28 აპრილისათვის

პირველი ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	4	4	0	0	7 : 1	8
„დაუგავა-რიგ.“ (რ.)	4	2	2	0	6 : 1	6
„დინამო“ (თბ.)	4	2	1	1	11 : 3	5
„სპარტაკი“ (ერ.)	4	2	1	1	7 : 5	5
„დინამო“ (მ.)	4	2	0	2	6 : 3	4
ხკა (როსტ.)	4	2	0	2	4 : 7	4
„ზენიტი“ (ლ.)	3	1	1	1	6 : 3	3
„ავანგარდი“ (ს.)	4	1	1	2	2 : 4	3
„მოლდოვა“ (კიშ.)	3	1	0	2	3 : 4	2
„კალევი“ (ტალ.)	3	0	0	3	3 : 14	0
„პაბტაკორი“ (ტაშ.)	3	0	0	3	0 : 10	0

მეორე ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცხკა (მ.)	4	4	0	0	12 : 1	8
„ადმირალტეიცი“ (ლ.)	4	3	1	0	7 : 3	7
„ბელარუს“ (მინ.)	3	3	0	0	3 : 0	6
„დინამო“ (კ)	3	2	1	0	6 : 3	5
„სპარტაკი“ (მ.)	4	2	0	2	4 : 2	4
„ლოკომოტივი“ (მ.)	4	2	0	2	8 : 9	4
„შახტიორი“ (სტ.)	3	1	1	1	4 : 3	3
„კრ. სოვეტოვი“ (კ.)	3	0	1	2	2 : 6	1
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	4	0	1	3	1 : 10	1
„კაირატი“ (ალმ.)	4	0	1	3	0 : 5	1
„სპარტაკი“ (ვილ.)	4	0	0	4	3 : 8	0

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ჰელსინკი, 27 აპრილი. (საკდესი). გუშინ ჰელსინკში დამთავრდა ორი დღის თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შეეციის, ნორვეგიის, დანიის, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა და ისლანდიის წარმომადგენელმა.

აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ თათბირმა განიხილა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და განსაკუთრებით განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ახლანდელი სტადია. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მოლაპარაკებაზე ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოხდა მხარეთა თვალსაზრისების მნიშვნელოვანი დაახლოება, რის შედეგად მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება ამ იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ საჭირო კონტროლის პირობებში. კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ ასეთი შეთანხმება ხელს შეუწყობდა პროგრესს განიარაღების დარგში.

თათბირის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კონტაქტების განგრძობას დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის განიარაღების საკითხისა და სხვა საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის.

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ბერლინი, 27 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ა. ტოპაევი იუწყება:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ბერლინში განაგრძობს სამხედრო დანშაულის ტრიბუნარ ობერლენდერის საქმის მოსმენას. გუშინ სასამართლოში წაიკითხეს ნაწყვეტები მთელი რიგი დოკუმენტებიდან, რომელთა ავტორი თვით ობერლენდერია. ეს მასალები, მიძღვნილი ჰიტლერელი გერმანიის პოლიტიკისადმი ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ერთხელ კიდევ აღასტურებენ, რომ ობერლენდერი ნაცისტური რეჟიმის აქტიური მომხრე იყო. მოქმედებდა რა ჰიტლერელთა არაადამიანური პოლიტიკის სრული შესაბამისობით, იგი მხარს უჭერდა ალმოსავლეთ ევროპის ხალხების დამონებას და მიაჩნდა, რომ ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა ამ ხალხების მრავალი წარმომადგენლის ფიზიკური მოსპობა.

ამის კიდევ ერთი დადასტურებაა მოწმეთა ჩვენება, რომლებმაც, კერძოდ, ილაპარაკეს ჰიტლერულ ბანაკებში საბჭოთა სამხედრო ტყვეების ცხოვრების საშინელ პირობებზე, რასაც მოჰყვა საბჭოთა ადამიანების მასობრივი დაღუპვა.

მოწმე შ. ოკროპირიძე ამბობს, რომ „ბერგმანის“ სპეციალური ქვეგანაყოფის უკან დახევის მთელი გზა პიატიგორსკიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე მოფენილი იყო ოფიცერლენდერის ბრძანებით გირეკილი ადამიანების გვამებით.

ბრალდების წარმომადგენელმა პროკურორმა ვერნერ ფუნკმა სასამართლოს სხდომაზე გააკეთა განცხადება, რომელიც ამბობს, ობერლენდერის ცდას გაეაბათილოს მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი და „დამტკიცოს“, რომ ჰიტლერელი მეთაურები ვითომდა „უმაღყოფილნი იყვნენ მისი მოქმედებით“. მან აღნიშნა, რომ ობერლენდერის მიერ 1945 წლის შემდეგ შედგენილი ბიოგრაფია ყალბია. პროკურორმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ, ობერლენდერის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ორასოდეს ნაცისტებს მისთვის სიკვდილი არ მიუსჯიათ. ვერნერ ფუნკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ობერლენდერის სასარგებლოდ გამოსული მოწმეები თვითონ არიან ყოფილი აქტიური ნაცისტები.

გუშინ პროცესზე გამოვიდნენ აგრეთვე მთელი რიგი ექსპერტები. ერთ-ერთმა მათგანმა, პროფესორმა გერჰარდ რაინტანცმა მრავალი ფაქტის საფუძველზე ცხადყო, რომ ბრალდებულმა ობერლენდერმა ჩაიდინა დანაშაულებანი მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულებანი და დანაშაულებანი ადამიანურობის წინააღმდეგ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ობერლენდერის ბრალდებულ ადეკრული სასამართლო გამოძიება პოლიტიკური და მორალური მოვალეობაა გერმანელი ხალხისა და სხვა ხალხების მიმართ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ლომე, 26 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ბ. ზაანსევი იუწყება:

27 აპრილს ნოლ ხაათსა და ერთ წუთზე ქალაქ ლომეში — ყოფილი სამეურვეო ტერიტორიის — ტოგოს დედაქალაქში, რომელიც საფრანგეთის მართვა-გამგეობაში შედის, 101 გასროლა მსოფლიოს აუწყებს, რომ დაიბადა აფრიკის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ტოგოს რესპუბლიკა. მთავრობის სახახლესთან აფრიალდება ტოგოს სახელმწიფო ალამი და აყღერდება ეროვნული ჰიმნი. ტოგოს ხალხი მოიპოვებს დამოუკიდებლობას და ახალი ცხოვრების მშენებლობის უფლებას.

ტოგოს სახელმწიფო გვინეის ყურის ნაპირას მდებარეობს; მას 56 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია. ამ ქვეყნის მოსახლეობა 1.200 ათასი კაცია. პოლიტიკურად ტოგო პარლამენტური რესპუბლიკაა.

პარლამენტი 46 დეპუტატისაგან შედგება. აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობას ეკუთვნის, რომლის სათავეში პრემიერ-მინისტრი სივანუს ოლიმპიო დგას. ტოგოს მმართველი პარტიაა „ერთიანობის კომიტეტი“.

ახალგაზრდა სახელმწიფოს ეკონომიკა მკვეთრად გამოხატული აგრარული ხასიათისაა. ამ ქვეყნის მთავარი სიმდიდრეებია — ყავა, კაკაო, ზეთოვანი პალმა, კობრა და ბამბა.

ტოგოს დედაქალაქი ლომე ხადღესასწაულად იკაზმება. მუშათა ჯგუფებს წესრიგში მოჰყავთ და ილუმინაციებით რთავენ მთავრობის შენობებს, პარკებსა და სკვერებს. ქალაქის მოსახლეობა ზანგმოდ რთავს ფერადი ნაჭრებით, ბალიშებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებით, ბალიანებ

ᲝᲑᲔᲠᲚᲔᲜᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲐᲙᲘᲠᲔᲑᲡ

ბონი, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც დპა-ს საგენტო იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადგილგადანაცვლებული პირების საქმეთა მინისტრმა ობერლენდერმა დღეს კანცლერ ადენაუერს გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ.

ამ ბოლო დროს ობერლენდერის წინააღმდეგ წამოყენებული იყო უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები, რომ იგი მონაწილეობდა ქალაქ ლვოვის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ დახოცვაში. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის ზეგავლენით, აგრეთვე იმ უთანხმოებათა შედეგად, რომლებიც ამ საკითხზე წარმოიშვა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მმართველ პარტიაში, რომლის წევრიც ობერლენდერია, იგი იძულებული გახდა გადადგარიყო.

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

სასამართლო პროცესი დაიწყო, ძერჟინსკის სახელობის კლუბის დარბაზში ერთი წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. საბარალდებულო სკამზე სხედან ვაჟა შალვას-ძე ვასილაძე და კონსტანტინე აკაკის-ძე ბილიხოდე. ისინი თავს არ ხრიან, არ რცხვენიათ, პირიქით, თითქოს ამბობენ, ნახეთ რანი ვართ და რა მოვიმოქმედეთო.

სწორედ ამ ორმა გარეწარმა მოუსაო სიცოცხლე შესანიშნავ საბჭოთა ახალგაზრდას, თბილისის პუ